

# წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის ორი პროექტი დასრულდა



საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ დაბა ურეკში წყალმომარაგება-წყალარინების პროექტირება-მშენებლობა და სოფელ ზემო ნატანების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაასრულა. შედეგად, 3400 ბენეფიციარი ახალი ინფრასტრუქტურითა და სტანდარტების შესაბამისი 24 საათიანი წყალმომარაგებით სარგებლობს.

დასრულებულ სამუშაოებს ადგილზე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი, ალექსანდრე თევდორაძე, გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე, ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია და საკრებულოს წევრები გაეცნენ.


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 7 (10474) 26 მარტი 2024 წ. ფასი 80 თეთრი.


## „ბახმარო უნდა შევინარჩუნოთ, როგორც განსხვავებული, ალტერნატიული საკურორტო სივრცე“



**ალიონი.** თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში „მწვანე ალტერნატივას“ ინიციატივით გაიმართა მწვანე ალტერნატივას სამუშაო შეხვედრა, სამოქალაქო სექტორის, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების, აქტივისტების და ჟურნალისტებისთვის თემაზე — „თანამშრომლობა მდგრადი და მედეგი განვითარებისთვის: ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და თემების გამოწვევები და შესაძლებლობები“

განიხილეს კლიმატის ცვლილებების და ენერგეტიკის პოლიტიკა,არსებული გამოწვევები და საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა...

სამუშაო შეხვედრაზე კურორტ ბახმაროს პრობლემებიც განიხილეს. მომხსენებელი „გადავარჩინოთ ბახმარო“ დამფუძნებელი **პაატა დობორჯგინიძე** იყო.

*ბახმარო არის ერთადერთი ადგილი ყველაზე მაღალი იონიზებული ჰაერით — ასთმური, ალერგიული დაავადებების სამკურნალოდ. ბახმარო უნდა შევინარჩუნოთ, როგორც განსხვავებული, ალტერნატიული საკურორტო სივრცე* — ითქვა შეხვედრაზე.

კომპანია „ორბმა“ ბახმაროში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 43 269 რასასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები 2019 წლის მაისში სიმბოლურ ფასად, 1 ლარად იყიდა. „ორბი ჯგუფმა“გარკვეული ვალდებულებების სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების სააგენტოსთან

გვ–2

## „უნდა გავიმარჯვოთ იმისთვის, რომ ქვეყანამ გააგრძელოს მშვიდობიანი და სტაბილური განვითარება“

ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, **ირაკლი ღარიბაშვილი,** პარტიის აღმასრულებელი მდივანი, **მამუკა მდინარაძე** და რეგიონული მდივანი, **დიმიტრი სამხარაძე** ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და პარტიულ აქტივს შეხვდნენ.

ოზურგეთში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები **არჩილ თალაკვაძე, ვასილ ჩიგოგიძე, რიმა ბერაძე, გია ბენაშვილი,** სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში, **გიორგი ურუშაძე.**

შეხვედრაზე პარტიის თავმჯდომარემ, ირაკლი ღარიბაშვილმა და აღმასრულებელმა მდივანმა, მამუკა მდინარაძემ ისაუბრეს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებაზე.

აღინიშნა, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი გზავნილია, მმართველმა პარტიამ აიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა, რისთვისაც უნდა მოხდეს მაქსიმალური მობილიზება.

საუბარი შეეხო საქართველოსა და მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს. ხაზი გაესვა, რომ მეორე ფრონტის გადმოტანის საფრთხე არსად წასულა.

„ძალიან კარგი შეხვედრა გვქონდა გურიაში, შევხვდი პარტიის აქტივს, ჩვენი გუნდის წევრებს. მოგეხსენებათ, ჩვენ ყველა რეგიონში ჩავდივართ, რათა მოვამზადოთ პარტია არჩევნებისთვის. ეს



არჩევნები ძალიან ძლიერად უნდა მოვიგოთ, უნდა გავიმარჯვოთ იმისთვის, რომ ქვეყანამ გააგრძელოს მშვიდობიანი და სტაბილური განვითარება, რათა არ მივცეთ საშუალება ჩვენი ქვეყნის მტრებს და ქვეყნის შიგნით მოქმედ მტრულ ძალებს, რომ ქვეყანამ შეწყვიტოს მშვიდობიანი განვითარება.

გურიაში ძალიან მაგარი განწყობაა. ჩვენი საამაყო გურულები მოტივირებულები არიან, რომ ეს არჩევნები ძალიან ძლიერად მოვიგოთ გურიაშიც. ჩვენი მთავარი გზავნილი არის ის, რომ უნდა მოვახდინოთ მაქსიმალურად მობილიზება, რათა ჩვენმა პარტიამ აიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა. რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ იმ გამოწვევებზე, რომელიც მიმდინარეობს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში. ძალიან რთული დროა, ჩვენი გუნდის წევრებს ვუთხარი, რომ ის საფრთხე, რომელიც შარშან და შარშანწინ იყო, ვგულისხმობ მეორე ფრონტის გადმოტანის საფრთხეს, არსად წასულა, ამიტომ საჭიროა, გონივრულად, მშვიდად და მტკიცედ გავიყვანოთ ქვეყანა სამშვიდობოს" — ირაკლი ღარიბაშვილი.

„გურია იშვიათი გამონაკლისი ნამდვილად არ არის, მაგრამ ბევრგან არ მინახავს ასეთი ანთებული, მოტივირებული ხალხი, საზოგადოება. სხვაგანაც ძალიან მაღალია მოტივაცია, მაგრამ გურიაში განსაკუთრებულია. გურულებს განსაკუთრებით აინტერესებთ პოლიტიკა, განსაკუთრებით განსწავლულები არიან ამ საკითხში. ჩვენ ვუზიარებთ ერთმანეთს მოსაზრებებს, ძალიან სასიამოვნოა გურულებთან შეხვედრა ამ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენადაც ისინი ძალიან კარგად ერკვევიან ბევრ თემაში და ძალიან სწორად იგებენ თითოეულ ნიუანსს. თითოეულ გურულს შეუძლია შემოვიდეს სიღრმეებში პოლიტიკურ ნიუანსებთან დაკავშირებით ისე, რომ ერთ შეცდომას არ დაუშვებს. საოცარი ხალხია ამ მიმართულებით, ჩემი დიდი პატივისცემა მათ, ძალიან კარგი შეხვედრა იყო“ — მამუკა მდინარაძე.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის და პარტიის ლიდერების შეხვედრები რეგიონებში 2 მარტს დაიწყო. შეხვედრები გაიმართა აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის მხარეში.

ირაკლი ღარიბაშვილი პარტიულ აქტივს 100 დღის განმავლობაში, 10 რეგიონში შეხვდება.

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;
– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 80 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 3,20 ლარი,**
**სამი თვით – 9,60 ლარი,**
**6 თვით –16 ლარი,**
**ერთი წლით – 32 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

**nugzarasatiani15@gmail.com**

**558 499100**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**

**gia_77@mail.ru**

**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

# გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელთან შეხვედრა გამართა



გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან გიორგი ღურჯუმელიძესთან ერთად, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელთან ალექსანდრე ვინიკოვთან გაცნობითი შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა შემდგომი თანამშრომლობის მნიშვნელობასა და შესაძლებლობებზე ისაუბრეს.

# „ბახმარო უნდა შევინარჩუნოთ, როგორც განსხვავებული, ალტერნატიული საკურორტო სივრცე“




2019 წლის 17 ივლისს ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა. ამ ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადა 2024 წლის ივნისის ბოლოს გასდის.

მრავალფუნქციური კომპლექსი ყოველწლიურად 300 000 ტურისტზე იქნება გათვლილი. საუბარია 350 ნომერზე გათვლილი კომპლექსის მშენებლობაზე. კომპანიაში ამბობენ, რომ მკაცრი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მშენებლობის ხანგრძლივობა დაახლოებით 2 წელზეა გათვლილი და 2025 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს. საზოგადოებისათვის უცნობია მთავრობის განკარგულება, რომელიც კომპანიას გაუხანგრძლივებს პროექტის განხორციელების ვადებს. პროექტის შემუშავების პროცესში არ იყო ჩართული საზოგადოების დიდი ნაწილი. პროექტი შემუშავებულია მცირე ელიტერული ჯგუფის მიერ.

რა ძირითადი შენიშვნები წარმოადგინა შეხვედრაზე „გადავარჩინოთ ბახმარომ“:

„ორბი ჯგუფმა“პროექტი დაუკვეთა კომპანია „ვილკინსონს“, რომელსაც სამთო საკურაორტო პროექტის გამოცდილება არ გააჩნია. იგი არცერთი წყაროსა და სარეიტინგო პლატფორმით არ არის არც ტოპ ათეულში, არც ტოპ ასეულში და არც ტოპ ათასეულშიც კი. „ორბი ჯგუფმა“ მხარდამჭერები ქართველ არქიტექტორთა შორის ჯერჯერობით ვერ იპოვა.

კომპანის საინვესტიციო ვალდებულებაში ეწერა შეზღუდვა, რომ მას არ შეეძლო მრავალბინიანი ნაგებობის მშენებლობა. ამაზე „ურბანული განვითარების ინსტიტუტის“ დამფუძნებელი **ანი ბიბილაშვილი** აცხადებს. იგი ამბობს„„*თუ ამას დავართქმევთ აპოსტოტელს ან სასტუმრო კომპლექსს და შემდეგ ბინებად გავყიდით, მაშინ ამ საინვესტიციო ვალდებულებას თითქოს კანონმდებლობით გვერდს ავუვლით და მოვახერხებთ, რომ ერქვას მრავალბინიანი კომპლექსი ან სასტუმრო. ამის აკრძალვა იმიტომ დგას, რომ ის გარემო ვერ გაუძლებს მრავალბინიან განაშენიანებას და ამ ტიპის საცხოვრისის გაჩენას.*“

ზვავთან დაკავშირებით 2 გეოლოგიური დასკვნაა –სახელმწიფო და კერძო.

პაატა დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ კომპანია საგულდაგულოდ მალავს კვლევებს და არ აწვდის საზოგადოებას...და რატომ? არაა საშიში ზვავები? როგორ აპირებენ, როგორც თავად განახადეს, ზვავების მართვას? რატომ დაუკვეთა კომპანიამ „ორბი ბახმარო“ 2023 წელს კომპანია „გეოგრაფიკს“ ალტერნატიული კვლევა? რატომ არ ეყრდნობა სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ კვლევებს? რატომ უკვეთავს ამ კვლევას მხოლოდ 2023 წელს, მაშინ როდესაც არქიტექტურულ პროექტზე მუშაობა უკვე დიდი ხანია დაწყებული აქვს ზვავსაშიშ არეალში?

სპეციალისტები კიდევ ერთ პრობლემად მიუთითებენ იმ გარემოებას, რომ სანებართვოდ წარდგენილ პროექტს არ ახლავს გეოლოგიური კვლევა, რომელიც დაგვანახვებდა რისკებს, რაც მიწას გააჩნია. ამასთან დაკავშირებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ოთარ შამუგიამ** განაცხადა, რომ „ორბის“არსებული განაშენიანების გათვალისწინებით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) წარმოდგენის ვალდებულება არ გააჩნია.

„ორბი ჯგუფის“ წარმომადგენლები ცდილობენ საზოგადოებაში შექმნან ცრუ მოლოდინი, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში კურორტზე გადაიჭრება წყალმომარაგების, გაზიფიცირების, ელექტრომომარაგების,საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების პრობლემა, რომელთა მოგვარების სამართლებრივი ვალდებულება არ გააჩნიათ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მომავალი 4 წლის განმავლობაში ბახმაროს განვითარებისათვის თანხები გათვალისწინებული არ არის.

მოსაზრება, რომ დიდი მრავალბინიანი კომპლექსის აშენებას ავტომატურად მოჰყვება ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარება, სინამდვილეს არ შეესაბამება.

*–ურბანული განვითარების ინსტიტუტის დასკვნის მიხედვით ეს პროექტი წარმოადგენს პროფესიულ დანაშაულს. პროექტი ეწინააღმდეგება გაეროს მდგრადი განვითარების მიზანს, გენ.გეგმის ხედვის არეალს, ბეტონის ეს უზარმაზარი ფარდა ჰაერის მასებს ცირკულაციაში შეუშლის ხელს* –განაცხადა შეხვედრაზე პაატა დობორჯგინიძემ.

**.გაზეთი „ალიონი“ მზადაა შესაბამისი ფართი დაუთმოს კომპანია „ორბი ჯგუფს“ „მწვანე ალტერნატივის“ შეხვედრაზე წარმოდგენილი მოხსენების გარშემო საპასუხოდ.**

# ოზურგეთში მასწავლებელთა კონფერენცია გაიმართა



ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის დარბაზში მასწავლებელთა საგანმანათლებლო რიგით მესამე კონფერენცია „ასწავლე და გააზიარე“ გაიმართა.

ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, **ლელა იმედაშვილის** თქმით, კონფერენციაში აქტიურად ჩაერთო ოზურგეთელი მას-წავლებლები.

„*კონფერენციის ჩატარების მიზანი გახლავთ საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება კოლეგებისთვის. 40-ზე მეტმა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა დღევანდელ ღონისძიებაში და აქედან გამომდინარე, ამდენივე საინტერესო თემა იყო წარმოდგენილი. დარწმუნებული ვარ, როგორც გასულ წლებში აღნიშნავენ პედაგოგები, მიაქვთ აქედან კონკრეტული აქტივობები აქტივობები, რომელსაც სასწავლო ოთახში გამოიყენებენ. ეს არის ამ კონფერენციის გამარჯვება და ყველაზე მთავარი მიზანი*“.

მისივე თქმით, ორ კვირაში კიდევ ერთი კონფერენციის ჩატარება არის დაგეგმილი. სადაც მონაწილეობას მიი-ღებენ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების მასწავლებლები.

რიგით მესამე კონფერენციის ყველა მონაწილეს სერტიფიკატები გადაეცა.

„ასწავლე და გააზიარე“ ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზატორობით ჩატარდა.

# კახა რუსიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორად დაინიშნა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ** და თსუ რექტორის მოადგილემ **კახაბერ ჭეიშვილმა** თსუ გამომცემლობის ახალ ხელმძღვანელთან **კახაბერ რუსიძესთან** გაცნობითი შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე იმსჯელეს გამომცემლობის რეფორმასა და რეორგანიზაციაზე. დაისახა ახალი სტრატეგია, რომლის შედეგადაც თსუ გამომცემლობა ითანამშრომლებს სხვადასხვა გამომცემლობასა და წიგნის მაღაზიებთან.

ჩვენი გამომცემლობის წიგნები, გარდა თსუ წიგნის მაღაზიისა გამავრცელებლების მიერ გაიყიდება. გამოცემები ჟანრობრივად გამრავალფეროვნდება, სახელმძღვანელოების გარდა გამოიცემა, ანთოლოგიები, მსოფლიო მხატვრული ლიტერატურისა და ქართული მხატვრული ლიტერატურის სერიები, ასევე, განახლდება ძველი პოპულარული გამოცემები.

ბეჭდური ვერსიის გარდა, ყველა წიგნის ელექტრონული ბაზა შეიქმნება, რომლის გამოყენებაც სიმბოლურ ფასად შეეძლება დაინტერესებულ მკითხველს.

გამომცემლობა სამომავლოდ გეგმავს სტუდენტების დასაქმებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის წიგნების შიდა გავრცელების კუთხით. ასევე, იგეგმება გამომცემლობის ლოგოს განახლება.

შეხვედრაზე ისაუბრეს, რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტზე, რომელზე მუშაობასაც უახლოეს პერიოდში დაიწყებს გამომცემლობა. ეს პროექტებია: „უნივერსიტეტი სკოლას“, რომელიც გულისხმობს სკოლებში ჩვენი გამომცემლობის წიგნების შეტანას და ასევე, ძველი პოპულარული გამოცემების განახლებული ვერსიების გამოცემას.

ვულოცავთ გამომცემლობა „მერიდიანის“ დირექტორს კახა რუსიძეს ამ საპატიო თანამდებობას და წარმატებებს ვუსურვებთ!

# მადლობა

ქ. ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის მშობლები მადლობას ვუხდით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორს მაკა ჭყონიას გაწეული დახმარებისათვის.

მათ მყისიერად მოახდინეს და აღადგინეს: ძვირადღირებული გათბობის სისტემა; დაზიანებული და დაძველებული ეზოს სკამების შესაცვლელად შეიძინეს ახალი ხის მასალა; მიმდინარეობს დაზიანებული მეტალის ფანჯრის მინების შეცვლა; შეიძინეს სასწავლო მასალა და საუკეთესო ხარისხის სათამაშოები.

მშობელთა სახელით
№4 საბავშვო ბაღის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე **ტატა ხინიკაძე.**

# „მწვანე გურია: ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის.“




***ინტერვიუს კითხვები ლაგის თავმჯდომარეებთან:***

*— როგორი იყო ლაგების ჩამოყალიბების პროცესი? რამდენად იყო დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობა ლაგების ჩამოყალიბების პროცესში.*

*— რას გულისხმობს ლიდერ მიდგომა და როგორ ფიქრობთ, რამდენად და რატომ არის მნიშვნელოვანი ამ მიდგომის დანერგვა? რა არის განსხვავებული ამ მიდგომაში და როგორ დაეხმარება აღნიშნული პროცესი ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებას?*

*— ახლა რა ეტაპზე ხართ? - უკვე მიღწეული შედეგების შესახებ რომ გვესაუბროთ.*

*— სამომავლო გეგმების შესახებ რო გვიამბოთ, უახლოეს მომავალში რა იგეგმება გურიის რეგიონში?*

*— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები მდგრადობასთან დაკავშირებით? როგორ ფიქრობთ რა ნაბიჯები უნდა გადადგათ დღეს, რომ **LAG**-ებმა შეძლონ ეფექტიანი ფუნქციონირება მომავალშიც, განმახორციელებელი ორგანიზაციების მხარდაჭერის და პროექტების დასრულების შემდეგ?*

***CENN,** ევროკავშირის მხარდაჭერით, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ახორციელებს პროექტს:„ მწვანე გურია: ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლისგანვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდ-ისთვის.“*

*აღნიშნული პროექტის გარშემო გაზეთი „ალიონს“ ესაუბრა ოზურგეთის, ლანჩხუთის ჩოხატაურის **LAG**-ის თავმჯდომარეები **კოკა კილურაძე, ირაკლი გიკაძე, ბესიკ მეფარიშვილი.***

### **კოკა კილურაძე,** ოზურგეთის **LAG** -ის თავმჯდომარე:

— ჯერჯერობით მოსახლეობისთვის ნაკლებად არის ცნობილი ისეთი ინოვაციური მექანიზმის შესახებ, რომელსაც ევროპაში უკვე ძალიან წარმატებით იყენებენ. ლაგი ინგლისური აბრევიატურაა და ნიშნავს ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფს, რომლის მიზანია განვითარების პროცესში ჩართოს ყველა მხარე: საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორი. ევროკავშირის მხარდაჭერით, კავკასიის გარემოსასვითი ქსელის (CENN)ის პროექტის „მწვანე გურიის“ ფარგლებში, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ოზურგეთის თითქმის ყველა დასახლებაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა. ამ ეტაპზე ინტერესი დიდია, მოსახლეობაში გაჩნდა მოლოდინები, რომ ამ პროექტში ფარგლებში შესძლებენ განავითარონ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა, თუმცა უნდა ითქვას რომ ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი, აქტიურად ჩაერთვება სხვა გამოწვევების დაძლევის მიმართულებითაც. ლაგ-ში 200-ამდე ადამიანი გაწევრიანდა, რომლებმაც 16 მმართველი საბჭოს წევრი აირჩიეს სადაც ხელისუფლება, ბიზნესი და სამოქალაქო სექტორია წარმოდგენილი.



— **akronimi LEADER (Liaison Entre Actions de Developpement de l’Economique Rural)** ნიშნავს „კავშირები სოფლის განვითარებისა და ეკონომიკის ქმედებებს შორის“. **LEADER**-ის მიდგომა წამოადგენს სოფლის განვითარების პოლიტიკის განსახორციელებლად ინოვაციური მეთოდოლოგიების ერთობლიობას.

**LEADER** მიდგომის კონკრეტული მიზნებია: ადგილობრივი თემების წევრების წახალისება ადგილობრივი განვითარების პროცესში მონაწილეობის მისაღებად; თანამშრომლობის გაძლიერება საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის; ადგილობრივი აქტორების წახალისება, იმუშაონ სხვა თემების წარმომადგენლებთან ერთად ქვეყნის შიგნით თუ გარეთ; ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინოვაციების ხელშეწყობა; ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების მომზადების ხელშეწყობა და სტრატეგიის განხორციელების უზრუნველყოფა.

ოზურგეთში **LEADER** მიდგომის მიხედვით სამი მიმართულებით განვახორციელებთ მხარდაჭერას:

- საგრანტო კომპონენტი
- შესაძლებლობების გაძლიერება
- ადვოკატირება

— ამ ეტაპზე, ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფი ჩამოყალიბების პროცესშია, მიმდინარეობს შიდა ორგანიზაციელ განვითარებაზე მუშაობა, მმართველი საბჭო, სხვადასხვა ინტერესეთა ჯგუფებთან აქტიური კომუნიკაციით მუშაობს, რომ დაამტკიცოს ოზურგეთის განვითარების გეგმა. ამ მიმართულებით ტარდება შეხვედრები იმისათვის რომ შევაფასოდ საჭიროებები და განვსაზღვროთ მისი გადაჭრის გზები.

— უახლოეს მომავალში ჩვენი განვითარების გეგმის გათვალისწინებით კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელი **CENN** პროექტის მწავნე გურიის ფარგლებში გამოაცხადებს საგრანტო კონკურსს. სადაც მონაწილოება შეეძლება ყველა დაინტერესებულ პირს, რომელთა საპროექტო იდეა გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტებში სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მოემსახურება.

— ოზურგეთის სამოქმედო ჯგუფი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელი-**CENN**-ის პროექტის მწვანე გურიის ფარგლებში, მაგრამ პარალელურად ვაპირებთ თანამშრომლობას ყველა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, დონორებთან, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან. ვაპირებთ, რომ მონაწილოება მივიღოთ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში, რომ მოვიზიდოთ დამატებითი რესურსები ჩვენი სტარტეგიული მიზნების განსახორციელებლად. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ფინანსურს რესურსებს ავტორიზებული ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფებისთვის. ჩვენ ამ პროგრამისთვის დადგენილ ყველა კრიტერიუმს ვაკმაყოფილებთ და აპრილის დასაწყისში ოზურგეთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი უკვე სახელმწიფოს მიერ იქნება ავტორიზებული.

### **ირაკლი გიკაძე,** ლანჩხუთის **LAG**-ის თავმჯდომარე:



— ლაგების ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა განსაკუთრებული სკეპტიციზმით იყო განწყობილი, რადგან წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, გრანტების უდიდესი ნაწილი გურიის სხვა მუნიციპალიტეტებში მიდიოდა. შრომის და საინფორმაციო კამპანიის დახმარებით შევძელით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მოგვეძია რაიონის განვითარებით დაინტერესული პიროვნებები და შესაბამისად შევძელით საკმაოდ კარგი გუნდით ჩამოგვეყალიბა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ძალიან აქტიურად არის ჩართული ყველა პროცესში.

— ლიდერ მიდგომის მნიშვნელობაზე შეგვიძლია ვისაუბროთ ევროპული გამოცდილებით, სადაც უკვე 30 წელიწადია ამ მიდგომით მიმდინარეობს სოფლის განვითარება და შედეგები აშკარად ნათელია.

ლიდერ მიდგომა საკუთარ თავში მოიცავს 7 თანაბრად მნიშვნელოვან პუნქტს, რომელთა შესრულება აუცილებელი პირობა არის ამ მიდგომის ეფექტიანად სამუშაოდ. ყველაზე მნიშვნელოვანს ამ პუნქტებიდან გამოვარჩევ ქვევიდან ზევით, ადგილობრივად გადაწყვეტილების მიღების და ადგილობრივი თანამშრომლობის მიდგომებს. ეს ყველაფერი დაგვეხმარება მუნიციპალიტეტს, ადგილობრივ დონეზე განვსაზღვროთ მოსახლეობის საჭიროება და ზუსტად იმ სფეროებში მოვახდინოთ ეფექტური ინვესტირება და კომუნიკაცია, რომელიც განსაკუთრებულად საჭიროებს განვითარებას. გარდა ამისა, ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით ვაღწევთ იმას, რომ ლაგ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა ემთხვეოდეს რაიონის განვითარების სტრატეგიას და ხედვას.

ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი მიიღებს პირდაპირ დახმარებას ლაგ-ისგან საგრანტო კომპონენტის ფარგლებში, ნაწილი კი ამ ინვესტირების შედეგებს იგრძნობს რაიონში დამატებით სამუშაო ადგილის შექმნით და ცხოვრების დონის გაზრდის გზით.

— ამჯერად საგრანტო პროგრამის პირობების ჩამოყალიბების პროცესში ვართ და ვემზადებით აქტიურად მოსახლეობსითვის საგრანტო პროგრამის გასაცნობათ. 29 მარტს, ლანჩხუთში დაგეგმილია ჩვენი პროექტის ფართო აუდიტორიისთვის პრეზენტაცია, რომლის შემდეგადაც დაიწყება აქტიური კამპანია, მოსახლეობის მეტი ჩართულობისთვის.

ასევე, მიმდინარეობს ლანჩხუთის ლაგ- ის საქართველოს ლაგების გაერთიანებაში ავტორიზაციის პროცესი, რომელიც ასევე საკმაოდ სწრაფად დასრულდება და ლანჩხუთის ლაგ-ს სახელმწიფოდან დამატებითი საშუალებები გაუჩნდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის საგრანტო პროგრამის სახით.

— გურიის რეგიონში იგეგმება უამრავი აქტივობა. სამივე მუნიციპალიტეტის ლაგების მიზანი არის განვავითაროთ ჩვენი რეგიონი და შესაბამისად ჩვენი აქტივობები მიმართულია გურიის, როგორც ტურისტული, წარმოების, გადამუშავების და მრავალი სხვა ეკონომიკური საქმიანობისთვის წარმოჩენითვის. იმედს ვიტოვებთ, რომ ინვესტორებს და ადგილობრივ მოსახლეობას გავუჩენთ მოტივაციას გურიაში საქმიანობის დაწყების და დამატებით ინვესტიციების მოსაზიდად.

— ლაგები არ იქმნება რაიმე კონკრეტული პროექტისთვის, არამედ ლაგებმა უნდა განაგრძონ ეფექტური მუშაობა და მუდამ იზრუნონ მუნიციპალიტეტის განვითარებაზე. ამისთვის საჭიროა ლაგ-ის ყოველი წევრის აქტიურობა, რადგან მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ჩვენთვისვე უკეთესი მომავალი.

ლაგ-ების მდგრადობა დაკავშირებულია ასევე სხვა პროექტებზე, რომელთა შესრულება ლაგ-ის გუნდს შეუძლია და ასევე ადგილობრივ მეწარმეებზე, ვისაც შეუძლია მათი წვლილი შეიტანოს ლაგ-ების განვითარებაში და მოახდინოს ლაგების პერიოდული ფინანსური მხარდაჭერა.

### **ბესიკ მეფარიშვილი,** ჩოხატაურის



— უკვე რამდენიმე წელია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აქტიურად ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით და მხარდაჭერით ესა თუ ის პროექტი,რომელიც სხვადასხვა სექტორულ მიმართულებებს ფარავს.გურიის რეგიონიც ბოლო პერიოდში აქტიურად ჩაება აღნიშნულ პროცესში .

რაც შეეხება ლაგ-ების ჩამოყალიბებას, შინაარსობრივად განსხვავებული პროცესი გახლდათ აქამდე არსებულთან შედარებით.პროცესის უშუალო მონაწილე თავად მოსახლეობა იყო და მათი ჩართულობა იყო უმნიშვნელოვანესი. ლაგი აერთიანებს სხვადასხვა სექტორის,დარგის,სფეროს,ინტერესის,ასაკის, ადამიანებს და სწორედ ეს მრავალფეროვნებაა ერთერთი უნიკალური მახასიათებელი. ეს ის ორგანიზაციაა, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება,საჯარო,სამოქალაქო და კერძო სექტორი ერთნაირად განიცდის სოფლად მცხოვრები ადამიანების პრობლემებს და

▶▶ გვ—4

# „ მწვანე გურია: ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის.“




## მწვანე გურია

## ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის

| | |
|---|---|
| ხანგრძლივობა: | 08/12/2022 - 08/12/2025 |
| სამიზნე რეგიონი: | გურია: ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები |
| განმახორციელებელი: | CENN |
| საკონტაქტო ინფორმაცია: | ბეთლემის ქ. #27<br>თბილისი, 0105<br>საქართველო<br>593 92 48 44<br>nino.gaprindashvili@cenn.org<br>www.cenn.org<br>@ThinkNaturally |

CENN, ევროკავშირის მხარდაჭერით, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ახორციელებს პროექტს - *მწვანე გურია: ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის.* პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაციას, ინვესტიციების მოზიდვასა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვას.

### პროექტის მიზნები:

პროექტის **ზოგადი მიზანია** სიღარიბის შემცირება და მოწყვლადი თემებისთვის ეკონომიკური და სოციალური გარემოსა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სამოქალაქო ჩართულობის, სოფლის ინკლუზიური განვითარებისა და მწვანე ზრდის მხარდაჭერის გზით.

პროექტის **კონკრეტული მიზანია** ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ინვესტიციების მოზიდვისა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა (ქვევიდან ზევით მიდგომით) სოფლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის გზით.

### სამიზნე ჯგუფები და ბენეფიციარები:

ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების სათემო ორგანიზაციები, ადგილობრივი თემები, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება, რეგიონული ხელისუფლება, ფერმერები, მეწარმეები, ტურისტების მომსახურებაში ჩართული პირები, სასწავლო დაწესებულებები და ახალგაზრდები, ტურისტები და ვიზიტორები, ადგილობრივი და რეგიონული მედია-ორგანიზაციები.

### საქმიანობები:

- ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ლაგების შექმნა და მათი ინსტიტუციური გაძლიერება
- ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების შემუშავება გენდერის, ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის (RBA) გამოყენებით
- ადგილობრივი ეკონომიკის 'გამწვანება' და დივერსიფიკაცია ინოვაციური და სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებით
- სამოქალაქო ჩართულობის პროცესების ხელშეწყობა და ქალების, ახალგაზრდებისა და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების/საზოგადოების გაძლიერება, რათა მათ დაიცვან თავიანთი უფლებები და მოახდინონ ადვოკატირება მოწყვლადი ჯგუფებისათვის ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებისა და სამართლიანი და მდგრადი პოსტკოვიდური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.

ცდილობს ამ პრობლემების მოგვარების გზები იპოვონ.

— მოსახლეობა თავიდანვე ინტერესს გამოხატავდა ლაგების ჩამოყალიბების პროცესის მიმართ. ლაგ-ის მმართველი საბჭოს 15 -კაციანი შემადგენლობა,ისევე როგორც ლაგის სხვა წევრები არ იღებენ არანაირ გასამრჯელოს,ხოლო თავიანთ დროს და გამოცდილებას უთმობენ და უზიარებენ სწორედ ლაგის წარმატებით ფუნქციონირებას.

— რაც შეეხება „ლიდერ“ მიდგომის პრინციპს, ეს მოდელი წარმატებული ევროპული გამოცდილებაა და ვფიქრობ ჩვენი რეგიონისთვისაც ასე იქნება.თუ ადრე მოსახლეობის,თემის საჭიროებები ე.წ. „ზემოდან -ქვემოთ“ პრინციპით ვლინდებოდა და შემდეგ ხორციელდებოდა, ეხლა პირიქით,მოსახლეობიდან წამოსული პრობლემები გადის შესაბამის საფეხურებს, ანუ „ქვემოდან-ზემოთ“ პრინციპით. პრობლემის გამოვლენა,იდენტიფიცირება,მოგვარების გზები წამოსული იქნება უშუალოდ მოსახლეობიდან, თემთან უშუალო კომუნიკაციით და მორგებული იქნება მათ საჭიროებებზე,შემდგომი ეკონომიკური სიძლიერისთვის. აღნიშნული კი ნამდვილად იქნება ადგილობრივი დემოკრატიის და სოფლის გავითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის.

ლაგებმა რამდენიმეთვიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად თავიანთ მუნიციპალიტეტებში შეიმუშავა ექსპერტების ჩართულობით **SWO**თ ანალიზი პრიორიტეტული დარგების მიხედვით,გამოვლენილია ყველა საკვანძო საკითხი და გრძელდება კვლავ ინტენსიური მუშაობა. ლაგს აქვს გაწერილი სამოქმედო გეგმა კონკრეტულ დროში და მივყვებით ამ გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

— ამ ეტაპზე ვემზადებით საგრანტო კონკურსის გამოცხადებისთვის, რომელიც უახლოეს ხანში დაიწყება და გურიის რეგიონისთვის უკვე მიმდინარე წელსვე იქნება გარკვეული შედეგები სახეზე.

გამომდინარე იქიდან,რომ ორგანიზაციაში არიან სხვადასხვა კომპეტენციის და უნარების მქონე ძალიან ღირსეული ადამიანები, ჩვენ შევძლებთისეთი აქტივობების და ღონისძიებების გატარებას, რომელიც ლაგების ფუნქციონირების და წარმატებისთვის მნიშვნელოვანი იქნება. ამაზე ზრუნვა უკვე დაწყებულია, კერძოდ,არსებობს უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი იდეა, რომელსაც რათქმა-უნდა დეტალურად გავივლით, განიხილება ლაგის შიგნით და ისე გადავალთ განხორციელების ეტაპზე. თუმცა იდეების მნიშვნელობიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე საწყის ეტაპზე ლაგს დასჭირდება მხარდაჭ-ერა.(ფინანსური).- ასევე ლაგმა მუშაობა უნდა გააძლიეროს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო საგრანტო კონკურსების მიმართ და მნიშვნელოვანი იქნება დონორი ორგანიზაციების მოძიება და მოზიდვა.

— ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ასევე, სახელმწიფოს მხრიდან (როგორც ადგილობრივ ისე ცენტრალურ დონეზე) ჩართულობა, როგორც ვიცით ცენტრალურ დონეზე შეთანხმება მიღწეულია დაფინანსების ნაწილში და მისასალმებელია.პროექტის მიმდინარეობის პერიოდი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ოპტიმალურად, რადგან პროექტის დასრულების შემდეგ ლაგ-ს, როგორც ორგანიზაციას უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად ფუნქიონირება.

**დაფინანსებულია**

# ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა გაიმართა



2024 წლის 21 მარტს ბახვი ჰესის მენეჯმენტის და კომპანიის გარემოდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს წლის პირველი, გასვლითი სახის შეხვედრა გაიმართა. საბჭოს წევრები ბახვი ჰესის სამშენებლო ბანაკს სტუმრობდნენ, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში მდებარეობს.

ბახვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, დავით კობერიძემ მრჩეველთა საბჭოს წევრებს გააცნო სამშენებლო ბანაკის სპეციფიკა. თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით მოწყობილი სამშენებლო ბანაკი მდებარეობს სამშენებლო უბნის სიახლოვეს, ადვილად მისადგომ ტერიტორიაზე, რათა ბანაკიდან მუშა პერსონალის სამუშაო ლოკაციებზე ტრანსპორტირება მაქსიმალურად უსაფრთხო და გამართული იყოს. ბანაკი ადგილობრივი მაცხოვრებლების საცოხვრებელი ზონიდან მაქსიმალურად არის დაცილებული, შესაბამისად, მინიმუმამდე არის დაყვანილი მოსახლეობის შეწუხება ხმაურის გავრცელებით, რომელიც მშენებლობის პროცესს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ბანაკისთვის სპეციალურად შეირჩა ნიადაგის ნაყოფიერი ფენითა და მცენარეული საფარით მწირი ტერიტორია, რომელიც მაქსიმალურად დაცილებულია მდინარეს, რაც ამცირებს როგორც ნიაგადზე ზემოქმედებას, ასევე — მდინარის დაბინძურების რისკებს.

„ბახვი ჰესის სამშენებლო ბანაკი სულ 140 ადამიანზეა გათვლილი. დღევანდელი მონაცემებით, ადგილზე სულ 58 მუდმივი მაცხოვრებელია. აღსანიშნავია, რომ ბანაკში მუდმივ მაცხოვრებელთა რიცხვი სამშენებლო სამუშაოების შესაბამისი ეტაპების მიხედვით კიდევ გაიზრდება. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდება აღნიშნული შენობების დემონტაჟი, ტერიტორიების გაწმენდა და რეკულტივაცია, რის შედეგადაც ნაკვეთის დაუბრუნდება პირვანდელ იერსახეს “,— განაცხადა ბახვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით კობერიძემ.**

მრჩევლთა საბჭოზე, კომპანიის უსაფრთხოების მენეჯერმა, მიხეილ ნატროშვილმა ისაუბრა იმ უსაფრთხოების ნორმებზე, რომელსაც ზედმიწევნით იცავს კომპანია როგორც სამშენებლო პერიმეტრზე, ასევე — პერიმეტრის ახლოს მდებარე სოფლებში. გასულ თვეს, სკოლის მოსწავლეების ინფორმირებულობის მიზნით, მთისპირის საჯარო სკოლაში ჩატარდა ტრენინგი უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ.

მრჩეველთა საბჭოს წევრებმა მიიღეს ინფორმაცია გზშ-ს აღსრულების ნაწილზეც. საერთაშორისო ექსპერტების მიერ გაწერილი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების სამოქმედო გეგმა, პრიორიტეტული მიმართულებაა პროექტის განხორციელების მოცემულ ეტაპზე. საერთაშორისო ექსპერტები გარკვეული პერიოდულობით სამშენებლო პერიმეტრის მონიტორინგს განახორციელებენ და შეაფასებენ ბახვი ჰესის გუნდის მუშაობას ამ მიმართულებით.

ბახვი ჰესის გუნდმა დაასრულა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანისქედში დაგეგმილი სოციალურ პროექტი, რომლის შედეგადაც უახლოეს მომავალში ვანისქედის 47 ოჯახს სასმელი წყალი სახლებში მიეწოდებათ. პროექტის ფარგლებში კომპანიამ შექმნა წყლის სისტემა, გააკეთა დაქსელვა, გამრიცხველიანება და ააშენა წყლის სატუმბი სადგური. დასრულებული პროექტი კომპანიამ მუნიციპალიტეტს გადასცა სამართავად.

მრჩეველთა საბჭოს წლის პირველი სხდომის ფარგლებში, საბჭოს წევრებთან შეთანხმდა მათი 2024 წლის ჩართულობის პროგრამა, რომელიც თითოეული საბჭოს წევრის მეტ და უშუალო მონაწილეობას ითვალისწინებს კომპანიის მიერ განხორციელებულ სოციალურ პროექტებში.

**დაფინანსებულია**

# ქშწკგ საზოგადოება. ილია, გურულებთან და მათ გარეშე

ამასწინათ, უფრო ზუსტად ა.წ. 19 მარტს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიას ვსტუმრობდი. მეტად საპატიო მისია მქონდა დაკისრებული. მისიაზე ცოტა მოგვიანებით გესაუბრებით გაზეთ ,,ალიონის'', განსაკუთრებით ჩემი წერილების, მკითხველო., მანამდე ,,საპატიო მისიის'' მთავარი საფუძვლი მინდა გაგაცნოთ სრულად.

საფუძველი წერილია — გიმნაზიის ალმასრულებელი დირექტორის ბატონ გიორგი არჩუაძის წერილია, გამოგზავნილი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასადმი.

თავს ნებას ვაძლევ და წერილს სრულად გთავაზობთ.

გთავაზობთ, რადგან მიმაჩნია, მსგავსი წერილების ნიმუსია, წერილია, რომილიც ამაყსაც გაგხდის, საკუთარ თვითშეფასებასაც აგიმაღლებს, პასუხისმგებლობას კიდევ უფრო გაგიზრდი, საკუთარი კოლეგების პატივისცემას ერთი ათად აგიმაღლებს და რაც მთავარია, წერილის ავტორისადმი, თავად ორგანიზაციისადმი პატივისცემას გრძნობას წაკითხვისთანავე გაგიჩენს.

**,,ბატონო კონსტანტინე,**

*საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზია 25 წელია რაც ნეკრესელი მიტროპოლიტი სერგის ძალისხმევით და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II - ის ლოცვა-კურთხევით დაარსდა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ფუნქციონირებს.*

*გიმნაზიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსაფრთხო გარემოში მოსწავლეთა სულიერ, ზნეობრივ და ინტელექტუალურ განვითრებას. გიმნაზიის საზოგადოებაში არსებული საალმზრდელო-საგანმანათლებო მიდგომა, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გამოიმუშვონ მიღებული ცოდინის პრაქტიკაში გამოყენების უნარები. ასევე სხვადასხვა შემეცნე-ბით ღონისძიებებში ჩართულობით გაიაზრონ პიროვნული განვითარე-ბის, პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების მნიშვნ-ელობა და საჭიროება.*

*2024 წელს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, გიმნაზიაში დაგეგმილია შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები. მიგვაჩნია, რომ მოსწავლეებში ,,ქშწკგ ,, საზოგადოების საპატიო წევრების ღვაწლის შესახებ ცნობადობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული მერაბ მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკის კოლექციების გაცნობა მნიშვნელოვანი იქნება .*

*გთხოვთ, აღნიშნული ციფრული რესურსების წარსადგენად მიმდინარე წლის 19 მარტს, 12:00 საათზე შემეცნებით ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად გიმნაზიაში მოავლინოთ, ეროვნული ბიბლიოთ ეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი კილაძე.*

*ვფიქრობთ, აღნიშნული შეხვედრა მონაწილეთათვის იქმნება ნაყოფიერი და შთამბეჭდავი. .*

პატივისცემით,

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის ალმასრულებელი დირექტორი **გიორგი არჩუაძე**''.

გაგრძელება დასაწყისი გაზეთი ,,ალიონი'' №5-6

აი, კიდევ ერთხელ გადავიკითხე წერილი და უმძაფრესი სურვილი გამიჩნდა ჩემი ზემოთქმული აზრი უპირობოდ გაიზიაროთ.

მაშ ასე, 19 მარტი 2014, ყვარელი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზია და მე ვიწყებ...

ვიწყებ და ვყვები არა ისე, როგორც იყო, არამედ ისე, როგორც მინდა ყოფილიყო...

მოკლედ, წინასწარ მომზადებულ ,,პრეზენტაციას'' მცირე შესწორებით წარმოგიდგენთ.

მენდეთ, ის ზუსტად ეხმიანება და ორგანულად აგრძელებს წინა ორი წერილის მიზნებისა და ამოცანების ხორცშესხმას.

## ქშწკგ საზოგადოების საპატიო წევრები

ბუნებრივია, საუბარი, გაცნობა/მისალმების ცერემონიალს თუ არ ჩავთვლით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გვერდის წარდგინებით დავიწყე და პირდაპირ ,,განათლების ციფრულ პლატფორმაზე'' გადავინაცვლე.

გადავინაცვლე, რადგან, უახლოეს მომავალში, გიმნაზიის მოსწავლე-მასწავლებლების, გაზეთ ,,ალიონის'' მკითხველების შენიშვნებისა და წინადადებების (თუ იქნება, რასაკვირველია) და კიდევ ბერვი ადამიანისა თუ ორგანიზაციის ჩრთულობით, სწორედ ,,განათლების ციფრულ პლატფორმაზე'' განთავსდება კოლექცია ,,,,ქშწკგ საზოგადოების საპატიო წევრები'' და ეს ,,ამბავი'' ძალიან მინდა 2024 წლის 31 მარტს მოხდეს!

სხვათაშორის, წარდგინებისას არც ,,პლატფორმის'' ძირითადი მიზნის გაცნობისთვის ამივლია გვერდი. თქვენც სიამოვნებით გამცნობთ:

,,სახელმძღვანელოების, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის ციფრული რესურსების, აგრეთვე, იმ ნაწარმოებებისა და ლექსიკონების გაერთიანება, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება სასკოლო, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას!''

აბა, როგორი მიზანია?!

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ , მე ვერც 2014-ში (სწორედ, ამ წელს დავიწყე ,,განათლების ციფრული პლატფორმის მშენებლობა'', მარტომ კი არა, კოლეგის ქალბატონ ნათია შენგელაიას თანამონაწილეობით და ეს ,,თანა'' ზუსტად ასახავს იმდროინდელ საქმეთა განაწილებას).

წარდგინების შემდეგი გვერდები ,,განათლების ციფრული პლატფორმის'' სტრუქტურას დაეთმო: მოკლედ, უფრო სწორედ, უმოკლესად შევეხე ,,პლატფორმის'' სამ მდგენელს:

1. სასკოლო ლექსიკონთა ერთიანი ბაზა;
2. სასკოლო ლიტერატურა და
3. ჯერჯერობით ,,თამაშგარეშე'' მყოფ ,,პლატფორიმის'' მერაბ მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკის ,,პლატფორმის'' ნაწილს.

ეს იყო და თუ გგონიათ, ძირითადი თემის რამდენადაც შემეძლო გაცნობაზე გადავედი, ცდებით... პლატფორმის ,,არანაწილი'' წარუდგინე არაჩვეულებრის დამსწრე საზოგადოებას...

ღმერთო ჩემო, რა გულისყურით მისმენდეთ და ამაში არა იმდენად ჩემი თხრობის უნარის დამსახურებას ვხედავ, არამედ მსმენელთა სმენის კულტურის უმაღლეს დონეს და ეს რომ აქვე არ მეთქვა, რომ იტყვიან ,,გასკდებოდა გული!''.







განათლების ციფრული პლატფორმის მეტად მნიშვნელოვანი (არა)ნაწილი ციფრული რესურსი ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა და წევრები'' გახლავთ - ჩემი კოლეგების უდიდესი და ხანგრძლივი შრომის საოცარი შედეგი!

ხსენებული ციფრული რესურსი სტრუქტურითა და შინაარსით ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი (ქშწკგ) საზოგადოების წევრთა საძიებელია და აერთიანებს საზოგადოების ყველა წევრს, რომლებიც გაწევრიანდნენ ამ საზოგადოებაში მისი დაარსებიდან ლიკვიდაციამდე'' -როგორი საქმეა?!

დიდებული!

,,საძიებლის'' პირველ გვერდზე ვკითხულობთ ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ (1879-1927) ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ეროვნული პედაგოგიური აზრისა და განათლებისეროვნული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების, აგრეთვე, ქართველ საზოგადოებაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივების საქმეს. სწორედ ამ საზოგადოების მიერ XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისსა და ქუთაისში დაფუძნდა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიები, რომლებშიც სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული პედაგოგიური აზრის გამოჩენილ წარმომადგენელთა იაკობ გოგებაშვილის, სილოვან ხუნდაძის, იოსებ ოცხელის, ივანე გომელაურის, ლუარსაბ ბოცვაძის და სხვათა ღვაწლი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უმდიდრესი ბიბლიოთეკა ამჟამად დაცულია საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. 1999 წელს აღდგა საზოგადოების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ძველი საინვენტარო ნომრების მიხედვით და შევიდა ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში:

ქშწკგს ბიბლიოთეკის კოლექცია ქართულ ენაზე;

ქშწკგს ბიბლიოთეკის კოლექცია უცხოურ ენაზე.

ქშწკგ საზოგადოების საარქივო ფონდის ციფრულ ოლექციაში შესულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საარქივო მასალები, რომელთა ორიგინალები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, (ფონდი 481)

იხილეთ ასევე

ქშწკგ საზოგადოების წევრები - საძიებელი აერთიანებს საზოგადოების ყველა წევრს, რომლებიც გაწევრიანდნენ ამ საზოგადოებაში მისი დაარსებიდან ლიკვიდაციამდე.

ქშწკგ საზოგადოების საპატიო წევრები;

ქშწკგ საზოგადოების განყოფილებები''

,,სულ ესაა'' და ვიდრე გვერდს დავემშვიდობები ერთი თხოვნა მაქვს, ჩემამდე ასგზის გაჟღერებული, იპოვეთ თქვენი ნათესავები, ახლობლები, მოგვარეები და ა. შ. მოიძიეთ ინფორმაციები, სურათები (ბევრი არ გვაქვს) და ვსრულვყოთ ასეთი კარგი საქმე.

შემდეგი სამი გვერდს ,,ვიდრე ქშწკგ საზოგადოება შეიქმნებოდა'' აერთიანებს. სხვათაშორის, მეტად საინტერესო ინფორმაცია გამოდგა მსმენელებთათვის.

თხრობა 1861 წლის უთარიღო ამბით დავიწყე:

- **1861**

ცდილობს ახალთაობის წარმომადგენლებთან ერთად დააარსოს ლიტერატურული საზოგადოება, რომლის მიზანი იქნება ხალხში ქართული წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელება, მაგრამ ნებართვას ვერ იღებს.

დავიწყე და შემდეგი წლის 28 თებერვლამდე მომხდარი ამბავი, რომ იტყვიან ,,მივაყოლე'':

- 1862 28 თებერვლამდე

იღებს გადაწყვეტილებას ახალი თაობის ჟურნალის დაარსების შესახებ და ადგენს პროგრამას.

ადგენს და 1862 ელის 28 თებერვალს ,,თხოვნით მიმართავს კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს — გრიგოლ ორბელიანს ჟურნალ ,,საქართველოს მოამბის'' გამოცემაზე ნებართვის მისაღებად და წარუდგენს პროგრამას.''

ვთქვი და ,,გიმნაზიელებს'' 19 მარტს და თქვენ ახლავე ქშწკგ საზოგადოების (არა)საპატიო წევრი (პირველი) წევრი წარვუდგინე/წარგიდგეთ:

**გრიგოლ ორბელიანი!**

წინასწარ გამცნობთ, მიუხედავად ,,საზოგადოებისადმი'' უდიდესი დამსახურებისა, აქ დიდხანს არ შევჩერებულვარ. სულ რამდენიმე ფაქრი გავახსენე მკითხველს:

1859 ოქტომბრის შუა რიცხვები

მიემგზავრება პეტერბურგში და მლეთასთან ხვდება პეტერბურგიდან თბილისისკენ მომავალ გრიგოლ ორბელიანს.

1862 28 თებერვალი

ილია თხოვნით მიმართავს კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს — გრიგოლ ორბელიანს ჟურნალ ,,საქართველოს მოამბის'' გამოცემაზე ნებართვის მისაღებად და წარუდგენს პროგრამას.

1862 20 მარტი.

სახელმწიფო კანცელარია, კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელ გრიგოლ ორბელიანის ნებართვის საფუძველზე, აკმაყოფილებს ილია ჭავჭავაძის თხოვნას ქართული ჟურნალის — ,,საქართველოს მოამბე'' გამოცემის შესახებ, იმ პირობით, რომ მასში არ დაიბეჭდება პოლიტიკური სტატიები.

1871 19 სექტემბრამდე

თბილისში რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის მოახლოებულ ვიზიტთან დაკავშირებით დგება კომისია მისთვის მისართმევი ადრესის შესადგენად. კომისიის შემადგენლობაში შედიან როგორც ახალი (ილია ჭავჭავაძე, ივანე თარხნიშვილი, ბესარიონ ღოღობერიძე, ნიკო ნიკოლაძე), ისე ძველი თაობის წარმომადგენლები (გრიგოლ ორბელიანი, მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი). პირველი ჯგუფის ძალისხმევით იმპერატორისთვის წარსადგენ ადრესში წერენ უნივერსიტეტის გახსნის თხოვნას.

1871 19-24 სექტემბერი

იმპერატორისათვის გადასაცემი ადრესის შემდგენელი კომისიის ერთ-ერთი წევრი — ბესარიონ ღოღობერიძე ძველი თაობის წარმომადგენლების პოზიციაზე გადადის. ,,მამები'', რომელთა მხარესაც უკვე ხმათა უმრავლესობაა, იმპერატორისათვის გადასაცემი ადრესის ტექსტს ცვლიან და თბილისში ვიზიტით მყოფ ალექსანდრე II-ს ქართველი ხალხის სახელით თბილისში სამხედრო სასწავლებლის (კადეტთა კორპუსის) გახსნას სთხოვენ, რაც ისედაც იგეგმებოდა.''

აი, აქ კი, როგორც მჩვევია, მხოლოდ, არალირიკულად, გადავუხვიე და ალვნიშნე: მიუხედავად ამგვარი დაპირისპირებისა, ამ უდიდესს ფაქტსაც არ შეუშლია ხელი ილიასა და ბესარიონ ღოღობერიძეს შორის შემდგომ თანამშრომლობას, ხომ გახსოვთ, ,,1876 წლის 20 აპრილს ,,იხსნება ქუთაისის ბანკი და ილია მის თავმჯდომარედ მხარს უჭერს ბესარიონ ღოღობერიძის კანდიდატურას.'' — ,,ვერაფრით, ვიზამდი'' ილიას კიდევ ერთი ადამიანური თვისებისთვის არ გამესცა ხაზი!

ვაგრძელებ, უფრო სწორედ, გრიგოლ ორბელიანს ვუბრუნდები და ვამბობ:

,,1877 აპრილის მეორე ნახევარი

ილიათან სახლში იკრიბებიან დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ცხვედაძე, ბესარიონ ღოღობერიძე და იაკობ გოგებაშვილი ქშწ-კგ საზოგადოების წესდების პროექტის განსახილველად და გარკვეული ცვლილებები შეაქვთ მასში.

**გიო კილაძე**

# ბადრი თენიეშვილის ხსოვნას



ჩემო ბადრი!

დაბადების 70 წლის იუბილეს გილოცავთ ზეციურ საქართველოში. ორი წელია რაც დატოვე ოჯახი, ვაჟკაცურად ებრძოდი ავადმყოფობას, მაგრამ სიკვდილმა გძლია. ცრემლიანია შენი გახსენება, ბევრი ტკივილი და სიყვარული დაგვიტოვე. შენ ხომ განუმეორებელი მამა, მეუღლე, ბაბუა, დედმამიშვილი, მეგობარი, სიკეთის და სიყვარულის მატარებელი იყავი.

ჩვენს ოჯახში პატარა ბიჭი შემოხვედი, ჩემს თვალწინ იზრდებოდი, ვაჟკაცდებოდი, კაცური კაცის ცხოვრებით ცხოვრობდი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოში, მცხეთა-თიანეთის მილიციის სამმართველოში. გამოირჩეოდი საქმის ცოდნით და პასუხისმგებლობით.

დედმამის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდი სოფელში ბახვში —სათუთად უვლიდი ყველაფერს, თურმე ემშვიდებებოდი.

ახლა მარტია, გაზაფხულია, შენს კარმიდამოში ყვავის ყველაფერი, მაგრამ შენს დაკეტილ სახლში უშენოდ გაზაფხულიც მოსაწყენია. მხოლოდ შენს სახლზე, შენი ხელით აღმართული, შენი სიყვარულის სიმბოლოდ ამაყად ფრიალებს საქართველოს და აშშ-ს დროშები.

შენმა შვილებმა ამერიკიდან გიორგიმ, ეკამ, ნათიამ ყველაფერი გაგიკეთეს, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ დამთავრდა, რაზე ფიქრობდი, რას გეგმავდი და სად წადი, რატომ იჩქარე?

მე, ღრმად მოხუცებული, რომელსაც გვერდით ჩამოეცალა ჩემი თაობა და ბევრი ახლობელი, ვიგონებ წარსულს ჩემო ბადრი და აქედან მოგილოცავ დაბადების დღეს.

მაქ კი დაბადების დღეს მოგილოცავენ შენი ღირსეული მშობლები გური და ლილი თენიეშვილები და შენი საამაყო სიმამრი გურამ მახარაძე.

ჩვენ კი სასაფლაოზე სანთლებს დაგინთებთ და ვილოცებთ შენთვის.

იძინე მშვიდად.

**ლილი მახარაძე**

# დიმიტრი პატარავას გახსენება

დიმიტრი პავლეს ძე პატარავა დაიბადა 1887 წლის 20 ნოემბერს, ოზურგეთში. მამამისი პავლე პატარავა ერთ-ერთ გამორჩეულ მომღერლად ითვლებოდა გურიაში.

დიმიტრი ბავშვობიდანვე ამჟღავნებდა მუსიკისადმი დიდ ინტერესს და სიყვარულს. იგი ხშირად სტუმრობდა და მეცადინეობდა ნესტორ კონტრიძესთან და მისგან შეისწავლა ბევრი რამ. იგი დაუახლოვდა აგრეთვე ცნობილ მომღერლებს: სამუელ ჩავლეიშვილს, სამუელ ჩხიკვიშვილს, ბესო ინწკირველს, გიგო ერქომაიშვილს, გიორგი ბაბილოძეს, ივლიანე კეჭაყმაძეს და მათთან ერთად ეუფლებოდა გურული სიმღერების ღრმად შესწავლას.

სანამ დიმიტრი პატარავა მგალობელ- მომღერლად ჩამოყალიბდებოდა, 18 წლის ასაკში გადაწყვიტა მუსიკალური განათლება მიეღო ქ. თბილისში, რომელიმე სასწავლებელში., მაგრამ მისი ოჯახის უკიდურესმა სიღატაკემ ხელი აალებინა ამ განზრახვაზე და გადაწყვიტა ცოდნა გაეღრმავებინა უფრო ხელმისაწვდომ ხელობაზე. მან დაიწყო მეცადინეობა ისეთ სახელლგანთქმულ მგალობლებთან, როგორებიც იყვნენ: ნესტორ კონტრიძე, დავით დუმბაძე, მელქისედექ ნაკაშიძე და სხვები.

1908-1916 წლებში დიმიტრი, არტემ ერქომაიშვილთან და ვარლამ სიმონიშვილთან ერთად ირიცხებოდა მუდმივ მგალობელთა შტატში ოზურგეთის ტაძარში. მათი დიდი ხნის ერთად ყოფნით ეს ტრიო შეიქმნა ერთ-ერთ მგალობელთა ცნობილ ტრიოდ.

დიმიტრი კარგად ფლობდა ჩონგურსაც და გადაწყვიტა შეექმნა ოჯახური მუსიკალური გუნდი. ოჯახურ გუნდში გაერთიანდნენ: თითონ დიმიტრი, მეუღლე —პელაგია, ძმა —ილარიონი, შვილები —ვალერიანი და მამია. მან ოჯახურ გუნდში მიიყვანა მისი დისშვილი გიორგი ვაშალომიძე.

გიორგი ვაშალომიძე ჩემი სოფლიდან —მაკვანეთელი იყო და ძალიან კარგად მახსოვს მისი პიროვნება. იგი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი ოჯახის, მამაჩემის — ილარიონის ახლო მეგობარი იყო. მეც მიმღერია გიორგისთან და კარგადაც მახსოვს მისი გურული „მონაქნევი“ სიმღერები.



ასე რომ დიმიტრი პატარავამ ძალიან დიდი შრომა გასწია გურული სიმღერებისა და საგალობლების განვითარებისათვის, რაზედაც მას ეხმარებოდნენ მისი მეგობრები და ახლობლები.

დიმიტრის აქვს შექმნილი სიმღერები, რომლებიც კარგადაა ცნობილი გურიაში: ესენია: „მერცხალო მშვენიერო,“ „ხელოვნება,“ „იარაღის შეჯიბრი,“ „პატარა ქართველო,“ „სადღეგრძელო ვისიც იყოს,“ „საწერო და კალამო“ და სხვა.

დასანანია, რომ დიმიტრი პატარავას სიმღერებს ახლაც მღერიან ზოგიერთი გუნდები და ხალხურად ასაღებენ, რაც არ არის სწორი. დიმიტრის ბევრი ნაშრომი აქვს ამ დარგში და არ უნდა დაეკარგოს მას ღვაწლი.

მე, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი წარმომადგენელი ქედს ვიხრი მისი პიროვნების წინაშე და ვისურვებდი ბევრი დაიბადოს ისეთი მომღერალ-მგალობელი, როგორც ბატონი დიმიტრი პატარავა იყო.

დიმიტრი პატარავა გარდაიცვალა 1954 წლის 22 ნოემბერს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს დიდი მომღერალი და მგალობელი დიმიტრი პატარავა.

**ტრისტან სიხარულიძე,**
ხელოვნების ქურუმი

# სკანვორდი



მშენებელი; ბრაზილიელი ფეხბურთელი; ქალაქი საბერძნეთში; ფრინველი; გაჭირვების; უდაბნო; ძაღლის ჯიში; მდინარე გურიაში; ქალაქი საფრანგეთში; ხალხური საკრავი; სპექტაკლის წინასწარი მონახაზი; გიგანტური პლანეტა; მოსასხამი; ბერძნული მითოლოგიის ღმერთი; პლანეტა; ყოვლისმცოდნე; მხარე საქართველოში; სურათის; ფრანგი პოლიციელი; საეკლესიო წერილი; საფეხმავლო გადასასვლელი; სისხლის აღების ადათი; დიდი კბილი; ხვნა; ფრანგული ავტომობილი; ტროპიკული ხე; მდინარეზე გადასაყვანი გემი

## პასუხები:

სურათზე –რამაზ ჩხიკვაძე; ხალხური საკრავი -ფანდური; მშენებელი-კალატოზი; ბრაზილიელი ფეხბურთელი –გარინჩა; მხარე საქართველოში –კახეთი; უდაბნო –საჰარა; ქალაქი საბერძნეთში – სალონიკი; გაჭირვების –ტალკვესი; ფრინველი –გედი; ძაღლის ჯიში –ჰასკი; ბერძნული მითოლოგიის ღმერთი –ზევსი; პლანეტა -მარსი; ყოვლისმცოდნე –ბრძენი; სპექტაკლის წინასწარი მონახაზი –ეტიუდი; საეკლესიო წერილი –ეპისტოლე; ფრანგი პოლიციელი – ჟანდარმი; სურათის –ჩარჩო; მდინარე გურიაში –სუფსა; ქალაქი საფრანგეთში –ტულუზა; დიდი კბილი –ეშვი; მოსასხამი –მანტია; გიგანტი პლანეტა –იუპიტერი; ფრანგული ავტომობილი –პეჟო; საფეხმავლო გადასასვლელი –ზებრა; სისხლის აღების ადათი – ვენდეტა;ხვნა -თესვა ; მდინარეზე გადასაყვანი გემი –ბორანი; ტროპიკული ხე –პალმა.

# ლანჩხუთელი კორესპონდენტები ქართული ჟურნალისტიკის სათავეებთან




საუკუნენახევრის მანძილზე ქართველმა ხალხმა შექმნა თავისი მდიდარი სულიერი კულტურის შესაფერი ჟურნალისტიკა.

ქართულმა პრესამ თვალსაჩინო როლი შეასრულა საზოგადოების ფართო ფენების გათვითცნობიერებაში. მე-19 საუკუნის ჟურნალ- გაზეთები : „ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „საქართველოს მოამბე“ და „ჯეჯილი“ ისევე საამაყოა, როგორც წარსულის ყველა ეროვნული მონაპოვარი. მათი ფურცლები სამარადისოდ ინახავს ერის სულიერ საგანძურს. ქართული საზოგადოება, რომელიც დაინტერესებული იყო ქართული გაზეთის გამოცემით, მას ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოთხოვნებს უყენებდა. ასე დაემთხვა ერთმანეთს ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილის ინტერესები გაზეთის მეშვეობით ხალხში ცოდნის გავრცელებას.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში თითქმის ერთდროულად გამოვიდა ჟურნალი „იმედი“ და გაზეთი „შრომა“, ხოლო შემდეგ „მწყემსი“, „მოამბე“, თეატრი“, ჟურნალები: „ცისკარი“, „ივერია“, „მნათობი“. თითოეული გამოცემა ამზადებდა გონების საზრდოს მკითხველისთვის, რაც ქართული პრესის მთავარი ამოცანა იყო.

გაზეთი „დროება“, რომელიც 1866 წელს გამოვიდა, პირველი ევროპული ტიპის ქართული გაზეთი იყო, რომელმაც იმ პერიოდის საზოგადოებრივი აზრის საუკეთესო წარმომადგენელთა მსოფლმხედველობა გამოხატა. არ დარჩენილა მაშინდელი საზოგადოებრივ- პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების თითქმის არც ერთი ღირშესანიშნავი საკითხი, რომ გაზეთს მასზე პასუხი არ გაეცეს.

იმ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებიც აქტიურად იღწვოდნენ იმდროინდელი სხვადასხვა გამოცემის ფურცლებზე, რათა სამზეოზე გამოეტანათ თავიანთი ქვეყნის, ხალხის გასაჭირი, იყვნენ ჩვენი რაიონის წარმომადგენლებიც. მათ შორის გამოირჩეოდნენ: **მამია** და **ჯაბა გურიელები**, **აპოლონ** და **ლავრენტი წულაძეები**, **ეგნატე ნინოშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გრიგოლ ურატაძე, კალისტრატე ცინცაძე, ვისია თავდგირიძე, ჯამულეთ ბაჟუნაიშვილი, სიმონ ჯორბენაძე, ბართლომე ჩხარტიშვილი, კირილე წილოსანი, იონა გოგიჩაიშვილი, კალისტრატე ხელაძე, არსენ წითლიძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, დიმიტრი გოგინეიშვილი, ეპიფანე ჩხაიძე, ილია ჭყონია, ელენე მონაზონი** და სხვ. თითოეული მათგანი წერდა იმ პრობლემებზე, რაც მოსახლეობას აწუხებდა იმ დროს, როგორ ცხოვრობდა ლანჩხუთის რაიონის მოსახლეობა მე-19 ს-ის მეორე ნახევარსა და მე-20 ს-ის დასაწყისში. ლანჩხუთში მომხდარ ამბებზე და მოვლენებზეა საუბარი მათ სტატიებში, თუ როგორ გააწვალა ხალხი უგზოობამ, უკლასობამ. როცა მათ ელემენტარული პირობებიც კი არ გააჩნდათ ნორმალური ცხოვრებისთვის. თითოეული მათგანი თვლიდა, რომ პრესის უპირველესი დანიშნულებაა მიაგნოს რა უჭირს საზოგადოებას, რომ იმას უშველოს.

1893 წლიდან გამოვიდა გაზეთი „კვალი“. იგი პოლიტიკური, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი იყო. მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დაბა ლანჩხუთისა და მისი სოფლების შესახებ სტატიებს. გაზეთში ფართოდ აშუქებდნენ ლანჩხუთელი კორესპონდენტები როგორც საყოფაცხოვრებო, ისე კულტურისა და განათლების საკითხებს. „კვალის“ აქტიური თანამშრომლები იყვნენ: **ნოე ჟორდანია, ეგნატე ნინოშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ივანე გომართელი, გრიგოლ ურატაძე** და სხვ. იმ დროს გამოქვეყნებული მასალები ლანჩხუთის შესახებ ზოგად წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდში ჩვენი მხარის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

იმ მოღვაწეთა შორის, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ ჩვენი მხარის სატკივრის სამზეოზე გამოტანით მის კეთილდღეობაში, უპირველესი იყო ქართველი პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე **მამია დავითის ძე გურიელი**. იგი დაიბადა 1853 წელს, სოფ. ლესაში. აღიზარდა გურიის მთავართა სასახლეში. ოდესღაც სახელგანთქმული და შეძლებული ოჯახი მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ეკონომიურ სიძნელეებს განიცდიდა. უდარდელობამ და დაუსრულებელმა დროსტარებამ მატერიალურად გააჩანაგა მდიდარი ოჯახი და ხელმოკლეობაში ჩააგდო. პირადი უბედურებით გამწარებული პოეტი, მას მეუღლე ადრე გარდაეცვალა, ხოლო ერთადერთმა შვილმა, კახაბერმა თავი მოიკლა, ცდილობდა შემოქმედებითი მუშაობით მოეკრიბა სულიერი ძალა. უკანასკნელად იგი ქუთაისში იყო ჭლექისგან დაუძლურებული და ხელმოკლეობაში დალია სული 1891 წლის 25 ივლისს.

მამია გურიელი თავის ახალ ნაწარმოებებსა თუ გულისტკივილს იმ პერიოდის ჟურნალ – გაზეთების საშუალებით აცნობდა მკითხველს. არაერთი ლექსი თუ სტატია აქვს გამოქვეყნებული „ივერიასა“ თუ „დროების“ ფურცლებზე. „ფაზელის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა „ივერიაში“ თავისი ლექსები და მათ შორის პოემა „პოეტი და ჩვენება“, ჰუმანიზმით გამსჭვალული ლექსი „ადამიანი“. აქვე აქვეყნებდა თავის თარგმანებს. თარგმნილი აქვს რ. ბერნსის, ჯ. ბაირონის, ალ. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ტ. შევჩენკოს და სხვათა თხზულებანი.

აღსანიშნავია აგრეთვე **ნოე ჟორდანიას** თანამშრომლობა იმდროინდელ პრესაში. ნოე ჟორდანია - დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე – დაიბადა ლანჩხუთში 1868 წლის 2 იანვარს, ხელმოკლე აზნაურის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ლანჩხუთის სოფლის სკოლაში. სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, ასევე დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. იგი მუდმივად თანამშრომლობდა იმდროინდელ პრესასთან. ევროპაში მყოფი ნოე ჟორდანია თავის შთაბეჭდილებებს გზავნიდა საქართველოში და „კვალში“ ბეჭდავდა. მისი წერილები იბეჭდებოდა „საზღვარგარეთელის“ ფსევდონიმით. წერილებს „მოგზაურობა შვეიცარიაში“ იგი ჟენევიდან გზავნიდა საქართველოში. ავტორს უნდოდა ეჩვენებინა თუ რას ნიშნავს კაპიტალისტური ურთიერთობა სოფლად, როგორ ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს იწვევს იგი სოფლის ცხოვრებაში. წერილების მიზანი იყო იქაური მოქალაქის ცხოვრება მაგალითი გაეხადა ქართველთათვის და ეს დაუფარავად გამოსჭვიოდა წერილების ყველა ნაწილში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნოე ჟორდანია „კვალის“ ფაქტიური რედაქტორი გახდა. 1900 წელს „ივერიისა“ და „კვალის“ ფურცლებზე გაჩაღდა მწვავე პოლემიკა ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას შორის. „კვალში“ იბეჭდებოდა ნ. ჟორდანიას კრიტიკული სტატიები „პეტრიწის“ ფსევდონიმით. ამავე გაზეთში 1902—03 წლებში მან „მარმალაძის“



მამია დავითის ძე გურიელი.

ფსევდონიმით დაბეჭდა წერილის დიდი სერია - „მეურნე და მეურნეობა“, სადაც მოცემულია კაპიტალისტური მეურნეობის ანალიზი. მთელი თავისი პუბლიკაციით იგი ცდილობდა დაენახვებინა ხალხისთვის თუ როგორი დადებითი შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობებს. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ასევე ლეგალური გაზეთები „სოციალ—დემოკრატი“ და „სხივი“.

გაზეთი „კვალი“ იცავდა კლასთა ბრძოლის თეორიას. ამ თეორიის დამცველი იყო ქართველი რეალისტი მწერალი **ეგნატე ნინოშვილი**. თავისი შემოქმედებით და მოღვაწეობით იგი გახდა მუშათა და გლეხთა მოძრაობის ნიადაგზე წარმოქმნილი იდეების პროპაგანდისტი საქართველოში. ის ვერ ეგუებოდა ადამიანის უფლებების უგულებელყოფას, მისი ღირსების გაქელვას და მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩართული იყო ჩაგრულთა დაცვისთვის ბრძოლაში. იგი იყო ქომაგი ჩაგრული და გაჭირვებული გლეხკაცისა.

ეგნატე ნინოშვილი დაიბადა 1859 წლის 5 თებერვალს , ლანჩხუთის რ-ის სოფ. ყელაში. აქ გაატარა მან ბავშვობა და სიცოცხლის უკანასკნელი დღეები. იგი 1876 – 78 წლებში ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1884 წლიდან კი თბილისში მუშაობდა, სტამბაში მუშად. მუდმივი გასაჭირის შედეგად დაავადებული ეგნატე ჩიქვეთში ცხოვ-რობდა და იქ განაგრძობდა შემოქმედებით მუშაობას. სისტემატიურად ბეჭდავდა პრესაში თავის ნაწარმოებებსა და წერილებს. მაშინდელი კორესპონდენტები და ეგნატე უყურადღებოდ არ ტოვებდნენ იმ დროს ხალხის გაჭირვებულ ყოფას: ეგზეკუცია, დაჭერა, გადასახლება და ცდილობდნენ ეს ყველაფერი გაზეთის საშუალებით გაეშუქებინათ.. მაგრამ თანდათან ეგნატე დარწმუნდა, რომ მკაცრი ცენზურის გამო გაზეთით შეუძლებელი იყო ყველაფერი სიმართლე დაწერილიყო და ამიტომ მან მიმართა სხვა გზას, მოთხრობების სახით გადმოეცა გურიის გლეხობის მაშინდელი ჭირ-ვარამი. 1887 წელს „ივერიაში“ საოხუნჯო ფელეტონი დაბეჭდა. აქვე დაბეჭდა „პალიასტომის ტბა“(1891), „არშიყნი“(1892), „სიმონა“ და „ქრისტინე“. „კვალში“ დაიბეჭდა ასევე „ჩვენი ქვეყნის რაინდი“.

პუბლიცისტი ფიქრობს, რომ ცხოვრებაში სწორი ორიენტაციისთვის აუცილებელია საზოგადოებრივი კანონების ცოდნა. ის, ვინც არჩევს მთავარს მეორე ხარისხოვანისგან, ახერხებს სათანადო მანევრირებით ერთი ძალის მეორესთან დაპირისპირებას, მას გამარჯვების დიდი შანსი აქვს. ასეთია აპოლონ წულაძის პუბლიკაცია: „ძმური სიტყვა ქართველ მუსლი- მანებს“. იგი თავისი შინაარსით, ეროვნული პათოსით ახლებურად ჟღერს დღესაც.

**აპოლონ წულაძე** (1872-1942) – ცნობილი ეთნოგრაფი, პროფესიული მეფუტკრე, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. იგი ლანჩხუთის რ-ის სოფ. ჭანჭათში დაიბადა. აპოლონის მამა ივანე, იოანე მღვდელი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სოფ. ჭანჭათში. ივანეს კიდევ ორი ვაჟი ჰყავდა : ლავრენტი და ათინოგენი. აპ. წულაძემ დაამთავრა ცნობილი წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა. შემდეგ იგი საქართველოს ყველა კუთხეში დადიოდა და ეწეოდა მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის და სოფლის მეურნეობის რაციონალური დარგების აგიტაციას. იგი 1904 წელს გადაასახლეს ორენბურგის გუბერნიაში, საიდანაც გამოპარულა და დამკვიდრებულა ხიდისთავში. მან პატიმრობაში დაწერა და 1911 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ფუტკარი და მეფუტკრეობა“. მისმა მეორე გამოცემამ ოქროს მედალი დაიმსახურა და სახელმძღვანელოდაც აღიარეს. პროფ. ივ. ჯავახიშვილის კონსულტაციებით წერილებად დაიბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა აპ. წულაძის „ ეთნოგრაფიული გურია“. გამოსცა მოთხრობა „მომღერალი ყუთი“(1911). იგი ავტორია „მახვილგონივრული გურული სცენებისა“ და სატირული სხვა ქმნილებებისა, რომელსაც აქვეყნებდა „ივერიაში“ 1899–1901 წლებში. იგი თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „კვალში“, „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „მოგზაურში“, „ეშმაკის მათრახში“, „ჯეჯილში“, „ნაკადულში“, „ერთობაში“. მისი ფსევდონიმები იყო: „პიტნა“, „ანწლაძე“, „ჭანჭათელი“, „ჭანი“, „რიჟა“, „ხოჯოღლი“, „მებუკე“, „თემისტოკლე“, „პერპენდუმობილე“, „ნირი“, „ესიკელაი“, „ავუია“, „მეურნე“, „ძველი“, „სტუდენტი“ და სხვ.

იმ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართულ პრესაში გავრცელებული საგაზეთო ჟანრი— ფელეტონი. იგი ამავე დროს რეალურ ამბებზე იყო აგებული. ყოველივე ამას კარგად ახერხებდნენ აპოლონ და ლავრენტი წულაძეები.

**ლავრენტი წულაძე** (1866-1923) –როგორც აღვნიშნეთ, იგი აპოლონის ძმა იყო. მან 1884 წელს დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი. იგი იყო იშვიათი მცოდნე ქართული ლიტერატურისა. პედაგოგობდა რამდენიმე წელს და ასევე აქტიურად თანამშრომლობდა იმდროინდელ პრესასთან. თითქმის სისტემატიურად ბეჭდავდა სტატიებს „ივერიაში“, „დროებაში“ და „ცნობის ფურცელში“ ფსევდონიმებით: „კნინი“ და „ვერმიცანაშვილი“. გონებამახვილურ ლიტერატურულ- კრიტიკულ სტატიებს, იუმორისტულ-სატირული ხასიათის წერილებს წერდა, რომელიც აგებული იყო სოფლის აქტუალურ საკითხებზე და რეალურ ფაქტებზე.იგი იყო ცნობილი მღვდელი მთელს გურიაში. ლავრენტი წულაძე ბოლშევიკებმა მოკლეს, კერძოდ კომკავშირელებმა ღამით ხიდიდან გადააგდეს. მათი მესამე ძმა ათინოგენიც ჩნდებოდა ზოგჯერ პრესაში.

გაზეთი ქვეყნის მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯო-



აპოლონ წულაძე

ბესებით როდი ინტერესდებოდა. იგი მიისწრაფოდა მასების განათლებისაკენ. მოწინავე ინტელიგენცია ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ახერხებდა პირველდაწყებითი სკოლების დაარსებას. აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი პედაგოგები, მათ შორის **კირილე წილოსანი.** მას არაერთი წერილი გამოუქვეყნებია „ივერიის“ ფურცლებზე რაიონის განათლების საკითხებთან დაკავში-რებით

„დროების“ კორესპონდენტი **კალანდარიშვილი** მიმოიხილავს რა გურიის სკოლების მდგომარეობას, გაზეთის 1875 წლის 34-ე ნომერში წერს: „კარგი შკოლა არის დაბა ლანჩხუთს აშენებული საზოგადოების ხარჯით და მასწავლებლებიც რიგიანი ჰყავს, ეს შკოლა აკურთხეს წარსულის 1874 წელს, ოქტომბრის თვეში. შკოლაში ამჟამად 110-ი მოსწავლენი არიან“. ასევე 1900 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ



არსენ წითლიძე

წერილში საუბარია ლანჩხუთის სკოლაზე და მის ხელმძღვანელზე, ცნობილ პედაგოგზე **არსენ წითლიძეზე** (1861- 1927). იგი იყო დამსახურებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. მისი ნაყოფიერი მოღვაწეობით ლანჩხუთში და თავისი წერილებით „ივერიაში“რაიონში არსებულ პრობლემებზე სკოლებთან დაკავშირებით, მოუწოდებდა გაზეთის ფურცლებიდან მკითხველებს დახმარებოდნენ და რაიმე წვლილი შეეტანათ რაიო-

გვ–8

# „ბათუმიდან დაიწყო ექვთიმეს მოგზაურობა დანარჩენ საქართველოში“



გადმოსახედი ახლო ისტ-ორიული ეპოქიდან განვლილი წლები თანამედროვეობას ჩაე-სახლა და გასულ წელს, ოზ-ურგეთის სახელმწიფო თეატ-რის სცენაზე შემოაბიჯა ექვთიმე ღვთისკაცმა. მას შემდეგ, არაერთი მაყურებელი გახადა თანამონაწილე იმ პერიოდისა, როცა საქართველოს კვლავ დაატყდა თავს ქარტეხილი და ქართული საგანძურისთვისაც დადგა ყოფნა-არ ყოფნის ჟამი. შეჰბედა ამ უდიდეს თემას ოზ-ურგეთის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა (იდეის ავტორი და დადგმის ხე-ლმძღვანელი, ხელოვნების დამს-ახურებული მოღვაწე ვასილ ჩიგოგიძე, სცენური ვერსიის ავტორი გოჩა კაპანაძე).

და შედეგი? რამდენიმე თვეში განხორციელებული 24 ჩვენება ანშლაგით. მათ შორის 21 ოზურგეთში, სამი თბილისში, თელავსა და გორში. მად-ლიერი მაყურებელი, საინტერესო შეფასებები, არაერთი საქებარი სიტყვა და სპექტაკლის ნახვის ინტერესი კვლავ.

„აჭარის ავტონომიური რეს-პუბლიკის განათლების, კულტუ-რის და სპორტის სამინისტროს მიწვევითა და მხარდაჭერით, მხატვრულ-დოკუმენტური ფან-ტასმაგორია -„ექვთიმე“ 24 მა-რტს, ილია ჭავჭავაძის სახელო-ბის ბათუმის პროფესიული, სახ-ელმწიფო დრამატული თეატ-რის სცენაზე იქნა წარმოდგე-ნილი. 25 მარტს კი ტურნე თოჯინებისა და მოზარდ მაყურ-ებელთა სახელმწიფო თეატრ-ში დასრულდა, ნოდარ დუმბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექ-ტაკლით „ცის კარი“.

თეატრის სამხატვრო ხელ-მძღვანელმა, **ვასილ ჩიგოგიძემ,** ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე, ოზურგეთის თეატ-რში განხორციელებულ და გან-სახორციელებელ პროექტებზე ისაუბრა.

*„ მადლობას ვუხდი საქართ-ველ-ოს და აჭარის განათლ-ების, კულტურის და სპორტის მინისტრებს, ფინანსური მხარდა-ჭერისა და თანადგომისთვის. შარშან 130 სპექტაკლი ვითა-აშეთ, წელს ვფიქრობთ 150 ვითამაშოთ. არ არის ადვილი ამ ყოველივეს განხორციელება, როცა ჩვენ არ ვართ დიდი კოლექტივი, 17 მსახიობი გვყავს. კონკურსის გამოცხადებას ვაპი-რებთ მსახიობთა ასაყვანად. გვშ-ველის ის, რომ თეატრის მმარ-თველი ზაზა ჯინჭარაძე ჩვენი მსახიობიცაა.*

*ბათუმში 26 მარტს, შოშიას საიუბილეო, ერთობლივი ჩვენება გაიმართება( შოშია- ალექსანდრე ჩხაიძე, დრამატურგი, მწერალი, ჟურნალისტი). ღონისძიების შინაარსსა და ფორმაზე ჯერ არ ვისაუბრებ. წამყვანი იქნება ნიკა წულუკიძე.*

*სამი პრემიერა გაიმართება მიმდინარე წელს, მათ შორის დამაგვირგვინებელი ილიას „თანმდევი სული“.*

*აქვე აღვნიშნავ, რომ ბათუმიდან დაიწყება ექვთიმეს მოგ ზაურობა დანარჩენ საქართ-ველოში. შევეცდებით საქართვე-ლოს სხვადასხვა რეგიონში წარვადგინოთ სპექტაკლი. 4 მა-ისამდე, გაწერილია ყველა ჩვე-ნება. მემორანდუმი გვაქვს ბა-თუმის თეატრალურ უნივერ-სიტეტთან, და ივნისში წარმო-გიდგენთ კო პროდუქტს ორი თეატრის მონაწილეობით. კვლავ ძალაშია ლევილში „ცის კარი“-ს ჩვენება, ხოლო პარიზში „ექვთიმესი“. 2025 წლისთვის აზერბაიჯანში, განჯაში უნდა დავდგათ ნოდარ დუმბაძის კუკარაჩა.“*

ვასილ ჩიგოგიძემ თეატრის წინაშე არსებულ სიძნელეებზეც ისაუბრა. აღნიშნა, რომ ძალიან ძვირი უჯდებათ შენობის შენ-ახვა. *„მხოლოდ იანვარ – თებერვალში, კომუნალური გადასახადების საერთო თანხამ 39 700 ლარი შეადგინა, ქონების წლიური გადასახადი – 15000 ლარს წარმოადგენს. „ამიტომ გვიჭირს თეატრის სცენა გად-ასახადის გარეშე, ან თუნაც დაბალ ფასად დავუთმოთ ნების-მიერ მომსვლელს, რომელიც ჩვენთან გეგმავს ღონისძიების გამართვას.“*

ვწერდით გასულ წლებში პრესკონფრენციებზე გაჟღერებ-ული დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და, არა მკითხველი-სთვის, ჩვენთვის, მაინც ვიტო-ვებდით კითხვის ნიშანს – რამ-დენად იყო შესაძლებელი ყოვე-ლივე ამის ასრულება. შედეგი თქო, ვახსენეთ. ეს დანაპირების რეალობაში ასახვაა. სწორედ რეალობამ დაგვარწმუნა – თამამად ვუწოდოთ ამ კოლექ-ტივს წარმატებული და ჩვენი თეატრი. კიდევ მეტ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს თეატრს, მაყურებელთა, გულშემატკივა-რთა და მხარდამჭერთა მრავლ-ობასთან ერთად.

**ნინო ნიკოლაიშვილი**

# გურულების 4 ოქრო საქართველოს პირველობაზე









**ალიონი**. ქ. გორში ბერძ-ნულ - რომაულ ჭიდაობაში 15 წლის მოჭიდავეთა შორის საქართ-ველოს პირველობაზე წარმატებით გამოვიდნენ ოზურგეთელი და ლანჩხუთელი მოჭიდავეები და მათ 7 მედალი, 4 ოქრო და სამი ბრინ-ჯაო მოიპოვეს.

შეჯიბრზე გვასახელეს ოზურ-გეთის მუნიციპალიტეტის სპორტ-ულ – გამაჯანსაღებელ საწესებუ-ლებათა გაერთიანებასთან არსებულ-მა ბერძნულ – რომაული ჭიდაობის სექციის სპორტსმენებმა და შინ 6 მედალი, მათ შორის 3 ოქრო და სამი ბრინჯაო წამოიღეს:

44, 62 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონები გახდნენ **ნიკოლოზ კუტუბიძე** და **დავით მხეიძე** ( მწვრთნელი – კახაბერ აბაშიძე); 57 კგ.-ში **ლაზარე გოგოტიშვილი** (მწვრთნელები – ძმები ზურაბიანები).

კიდევ ერთი ოქრო ლანჩხუთის სპორტული ცენტრის სპორტსმენმა **ამირან ცეცხლაძემ** 52 კგ.-ში მოი-პოვა (მწვრთნელები დავით მჟავია, ვასილ ეზიეშვილი).

62 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს მესამე ადგილი **დავით გობ-რონიძემ** მოიპოვა ( მწვრთნელი კახაბერ აბაშიძე); აბაშიძის კიდევ ერთმა აღსაზრდელმა **ერეკლე კვაჭანტირაძემ** 85 კგ.-ში აიღო მესამე ადგილი.

44 კგ. წონით კატეგორიაში **ერეკლე თავბერიძე** ამჯერად მესამე ადგილზე გავიდა.( მწვრთნელები ძმები ზურაბიანები ).

გუნდებს შორის ოზურგეთის ნაკრებმა 120 ქულით მესამე ადგ-ილი დაიკავა. (თბილისი –132 ქულა, აჭარა –124 ქულა).

## მილოცვა

# ლეილა გირკელიძეს

კარგა ხანია ჩვენ ახლო ნაცნობები ვართ. არ მავიწყდება შენი თბილი და ღიმილიანი შეხვედრები. ბევრმა ოზურგეთ-ელმა იცის შენი კარგი ქალობის ამბავი. ამ მოსალოცი ბარათით მინდა ჩემი სათქმელი ვთქვა, რომ კიდევ ბევრმა გაიგოს შენზე.

ლეილა გირკელიძემ ათე-ული წელი იმუშავა ქალაქის №3 ბაგა-ბაღში აღმზრდელ-მასწავლებლად. საკუთარ გამოც-დილებას ყოველთვის სიამო-ვნებით უზიარებდა კოლეგებს. სულ ახლის ძიებაში იყო, რომ საალმზრდელო საქმიანობა დრო-ის მოთხოვნათა შესაბამისად წარემართა. მის მიერ ჩატარე-ბული გაკვეთილები თუ სხვად-ასახვა სახის ღონისძიებები კარგ შეფასებას ღებულობდნენ.

უყვარდა ბავშვები, პატარებ-საც ძალიან უყვარდათ პატივცემული მასწავლებელი.

წარჩინებული პედაგოგის სახელით გავიდა პენსიაზე. მარ-ტის დასაწყისში დაბადების დღე ჰქონდა. 91 წლის შესრულება შინაურებმა და მეზობლებმა მიუ-ლოცეს. ძველი მეგობრებიდან ქალბატონი როზა გოგუაძე (საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკ-ავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია) ესტუმრა. გაუხა-რდათ ერთმანეთის ნახვა, ერთმ-ანეთს მოეფერნენ. უკვე აღარ შეუძლია ჩვეული ხალისით შეეგებოს ვინმეს, ქვედა კიდურის განმეორებითი მოტეხილობის შემდეგ სულ ლოგინად არის. ამით ყველა შეწუხებულია, იგი ყველას ენანება ასეთი ხვედ-რისთვის. მზრუნველობენ ქალ-იშვილი, შვილიშვილები, ახლო-ბლები და მეზობლები. ექიმებიც თავისას აკეთებენ.

ღმერთმა ინებოს ცოტა უკეთესობისკენ წავიდეს მისი ავადმყოფობის საქმე.

ეს ყველას ძალიან გვინდა ქალბატონო ლეილა.

**გულსუნდა მახარაძე**

# საქართველოს პირველობიდან ორი ოქროს მედალი ჩვენია!

16 – 17 მარტს ქ თბილ-ისში მკლავჭიდში უფროს ასაკთა შორის საქართველოს პირველობა გაიმართა.

პირველობაზე წარმატ-ებით იასპარეზა, აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ოზურ-გეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებ-ასთან არსებულმა მკლავჭიდ-ის სექციის სპორტსმენებმა, **დავით თენიეშვილმა** და შინ ორივე მკლავში ოქროს მე-დალი წამოიღო.

დავითმა ამ გამარჯვებით ევროპის პირველობაზე საგზ-ური მოიპოვა!

მწვრთნელები: გიორგი რუსიეშვილი, ილია ჟვანია, ზურაბ ბურჭულაძე.

# ლანჩხუთელი კორესპონდენტები ქართული ჟურნალისტიკის სათავეებთან

ნის კულტურული ცხოვრების საკვთილ-დღეოდ. მისი ფსევდონ-იმი იყო „ შუბნელი”.

მადლიერების გრძნობით არ-ის გამთბარი მღვდელ **ეპიფანე ჩხაიძის** წერილი „ივერიაში” 1899 წელს ლანჩ-ხუთის სკოლისთვის დახმარების გაწევის მიზნით შემ-ოწირულობათა გამო. იმ ხალხის შესახებ ,ვინც სასწავლებლის და-არსებას ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინა წერდნენ „ივერიის” კო-რესპონდენტები: **კ. გოგინეიშვილი, ჯამლეთ ბაქუნაიშვილი, ვისია თავდგირიძე.**

სოფ. ნიგოითის ჯიხეთის დედათა მონასტრის შესახებ, მის მდგომარეობაზე , სამრევლო ქალთა სკოლისთვის გაწეული დახმარების შესახებ წერდა 1897 წელს „ივერიაში” ამავე მონასტრის მონ-აზონი ელენე.

ლანჩხუთელ კორესპონდენტთა შორისაა სოფ. აცანის მკვიდრი, საზოგადო მოღვაწე **გრიგოლ ურატაძე,** სოციალ – დემოკრ-ატიული პარტიის წევრი. იგი სისტემატიურად ბეჭდავდა წერ-ილებს: „ივერიასა” და „ცნობის ფურცელში”. წერდა მშობლიური სოფლის საჭირბოროტო საკითხ-ებზე, განსაკუთრებით კულტურისა და განათლების ხაზით. გასაბჭოების შემდეგ ის თავისი ოჯახით უც-ხოეთში გაიხიზნა და ქართულ ემი-გრანტულ, უმეტესწილად სოციალ – დემოკრატიულ პრესაში იბეჭდ-ებოდა მისი წერილები.

გამოჩენილი ქართველი საზო-გადო მოღვაწე და მეცნიერი **ფილ-იპე გოგიჩაიშვილი** (1872 – 1950). მაშინ-დელი პრესის აქტიური თა-ნამშრომელი იყო. იგი იყო დიდი ქართველი სამო-ციანელების ღი-რსეული მოწაფე და თანამებ-რძოლი, თბილისის სახ-ელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამა-არსებელი და მისი რექ-ტორიც. 1905-06 წლებში იგი რედაქტორობდა „ივერიას.” 1918-20 წლებში იყო დამოუკიდებელი საქართვე-ლოს სა-ხელმწიფო მინ-ისტრი. მისი ფსევდონიმი იყო „უგვარო”.

მე-19 საუკუნის ქართულ პრე-სას რომ ვეცნობით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს იმ დროს რაღაც მაგიურ მნიშვნელ-ობას ანიჭებდნენ ავტორის ვინაობ-ის დაფარვას. ამ მხრივ არც ერთი გაზეთია გამონაკლისი, თხზულებ-ათა დიდი ნაწილი აქაც ფსევდონიმებით ან საერთოდ ხე-ლმოუწერელად ქვეყნდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ფსევ-დონიმების გაშიფვრა განსაკუთრე-ბულ სიძნელეს არ წარმოადგენდა და თანაც უმთავრესი ფსევდონიმე-ბი უკვე ცნობილია, მაინც არის ფსევდონიმები, რომელთა ავტორები არ არის ცნობილი: „გურული”, „მგზავრი”, „რიონისპირელი”, „ქვიან-ელი”, „სუფსელი”, „ოფიშტიელი”, „საქორიელი”, „ლაშისპირელი”, „ლახვარაძე”, „წკირა”, „კოხელი”, „ავ-ყია”, „ხელის მომწერი”, „კირაკოზა”, „მზეკალ-კოდალი”, „შიკრიკი”, „ლე-ლისპირელი”, „ფრანსე”, „მეკვლე”, და სხვ.

თავისუფლად შეიძლება ითქ-ვას, რომ აქ მოხსენიებული პიროვნებები იმ დროის ქართული ჟურნალისტიკის სათავეებთან იდგ-ნენ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ჟურნალისტ-ური ისტორიის ჩამოყალიბების საქმეში.

**მანანა სიხარულიძე**

ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი

| 26 მარტი სამშაბათი | 27 მარტი ოთხშაბათი | 28 მარტი ხუთშაბათი | 29 მარტი პარასკევი | 30 მარტი შაბათი | 31 მარტი კვირა | 1 აპრილი ორშაბათი |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| წვიმა +3+9 | მზე, ღრუბელი +4+12 | მზე +7+18 | მზე +8+21 | მზე +8+17 | მზე +10+17 | მზე, ღრუბელი +10+17 |